დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 89 08
22/12/2016

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-19 მუხლის ,,ბ'' პუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი დანართი N1.
2. დამტკიცდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი დანართი N2.
3. დამტკიცდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი დანართი N3.
4. დამტკიცდეს ტრანსპორტით მომსახურების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი დანართი N4.
5. დამტკიცდეს ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი დანართი N5.
6. დამტკიცდეს საწვავი შეშით უზრუნველყოფის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი დანართი N6.
7. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე.
8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

ლერი ბერუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია მოსარგებლეთა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. ამოცანები

პროგრამის ამოცანაა დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარების გაწევა (ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობა).

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს მუნიციპალური დახმარების სახით ყოველთვიურად.

მუხლი 4. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირებისათვის თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით.
2. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის შესრულების ვადები

პროგრამა იწყება 2017 წლის 1იანვრიდან და ხორციელდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

დანართი N2

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობის დაბალი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 100 000 ქულის ჩათვლით (გარდა ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირებისა).

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით.

მუხლი 4. კრიტერიუმი და დაფინანსება

1. პროგრამის კრიტერიუმებია:

ა) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ბ) პირები რომლებიც დაავადებულნი არიან, გულის მანკით, გულის ქრონიკული უკმარისობით და პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ პოსტინსულტური და პოსტინფარქტული რეაბილიტაცია.

გ) ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები; დ) ფსორიაზით დაავადებული პირები;

ე) ეპილეფსიით დაავადებული პირები;

ვ) ქრონიკული ბრონქიალური ასთმით დაავადებული პირები; ზ) I-II ჯგუფის ინვალიდები;

თ) პარკინსონი;

ი) გადაეცეთ ერთჯერადი ფინანსური ფულადი დახმარება აფხაზეთის ომის ინვალიდ ვეტერანებს აფხაზეთის დღის დაცემის დღესთან დაკავშირებით (27 სექტემბერი).

2. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ერთჯერადი დახმარების სახით 2017 წლის ასიგნებათა ფარგლებში.

3. ერთჯერადი დახმარება განსაზღვრულია არა უმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი;

5. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. პროგრამის შესრულების ვადები

პროგრამა დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან და ხორციელდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

6. მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე.
2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N 100.
4. პირადი საბანკო რეკვიზიტების ამონაწერი ბანკიდან.
5. შესაბამისი სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
6. მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს სარეკომენდაციო წერილები შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და დეპუტატის.

დანართი N3

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი

მუხლი 1. მიზანი და ამოცანები

ა. პროგრამის მიზანია სახელმწიფო რეფერალურ და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ბ. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს ურგენტული და გეგმიური სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების, ასევე დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

მუხლი 2. პროგრამის მოსარგებლეები

პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირები.

მუხლი 3. კრიტერიუმი და დაფინანსება

ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი მოსახლეობის სოციალური დახმარების კომისიის (შემდგომში –კომისია) მუშაობაში გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

- ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა;
- იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები;
- ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები;
- პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები;
- ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები, (საჭიროების შესაბამისად);
- C ჰეპატიტით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად).

ბ. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით, კომისიის დასკვნისა და #1-ის დანართის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

გ. სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება ხორციელდება სრულად არა უმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

დ. განსაკუთრებულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ე. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 4. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობა[illegible] მოცულობის ამოწურვის გაუმჯობესება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირება.

მუხლი 5. პროგრამის შესრულების ვადები

პროგრამა იწყება 2017 წლის 1 იანვრიდან და ხორციელდება 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე.
2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა #100.
4. ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.
5. შესაბამისი სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
6. სახელმწიფო სოციალური დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ამსახველი დოკუმენტის ასლი.
7. მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს სარეკომენდაციო წერილები შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და დეპუტატის.

დანართი N4

ტრანსპორტით მომსახურების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი

1. პროგრამის არსი

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ტრანსპორტით მგზავრობა და სუბსიდირება.

2. მიზანი და ამოცანა

სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

3. კრიტერიუმი და დაფინანსება

პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

3.1. სტუდენტები

3.2. უსინათლოები.

3.3. ვეტერანები (კოდი – 100, 111, 112, 113, 200, 300, 311, 312, 313, 500, 501, 800).

3.4. ქ. დმანისიდან ქ. თბილისის და ქ. თბილისადან ქ. დმანისის მიმართულებით კვირაში სამი დღე სტუდენტების, ვეტერანების და უსინათლოების გადაადგილება.

3.5. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სუბსიდირების სახით 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში;

3.6. განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის მიერ ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

6. პროგრამის შესრულების ვადები

პროგრამა იწყება 2017 წლის იანვრიდან და ხორციელდება 2017 წლის განმავლობაში.

ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი

დანართი N5

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანები

პროგრამის ამოცანაა ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს მუნიციპალური დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, წლის განმავლობაში ერთ მოსარგებლეზე არა უმეტეს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.
2. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. პროგრამის შესრულების ვადები

პროგრამა იწყება 2017 წლის 1 იანვრიდან და ხორციელდება 2017 წლის განმავლობაში.

საწვავი შეშით უზრუნველყოფის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი **დანართი N6**

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსარგებლეთა (მარტოხელა პენსიონერი ასაკის პირები) მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა მარტოხელა პენსიონერი ასაკის პირების საწვავი შეშით უზრუნველყოფა.

3. პროგრამის მოსარგებლეები

პროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა პირებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ საწვავი შეშით გათბობის მიზნით.

4. კრიტერიუმი და დაფინანსება

4. 1. პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა) უმწეო მდგომარეობაში მყოფი მარტოხელა პენსიონერი პირები;

ბ) განსაკუთრებულ შემთხვევაში ბენეფიციართა კატეგორიის განსაზღვრაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი;

4.2. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში. თითოეული ბენეფიციარის მომსახურებისათვის გამოიყოფა 2 კუბური მეტრი საწვავი შეშა.

4.3 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული კატეგორიის მიერ საწვავ შეშაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

6. პროგრამის შესრულების ვადები

პროგრამა ხორციელდება 2017 წლის განმავლობაში.